2-1845/23
13-02-2023

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის
თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კოვზანაძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის
დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილ

„რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW“), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმების (ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V)“ თაობაზე (№07-2/242; 29.12.2022)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა 2023 წლის 13 თებერვლის სხდომაზე განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW“), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმება (ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V)“ და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარდგენა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე რატიფიცირებისთვის.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მაია ბითაძე

2-2046/23
15-02-2023

საქართველოს პარლამენტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი კოვზანაძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა
და
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

„რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW“), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმებაზე (ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V)“

(№07-2/242; 29.12.2022).

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 14 თებერვლის სხდომაზე განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW“), მაინის ფრანკფურტი და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმება (ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V)“ და მხარი დაუჭირა მის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე რატიფიცირებას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
დავით სონღულაშვილი

2-2545/23
22-02-2023

საქართველოს პარლამენტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს

ასლი: საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტს

**საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა
და თვითმმართველობის კომიტეტის**

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილ „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW“), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმება (ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V)“ შეთანხმება (№07-2/242; 29.12.2022).
საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა 2023 წლის 20 თებერვლის სხდომაზე განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილ „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW“), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმება (ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V)“ შეთანხმება (№07-2/242; 29.12.2022).

კომიტეტს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია და მხარს უჭერს წარმოდგენილ სასესხო შეთანხმების პარლამენტის პლენარულ სხდომაზე რატიფიცირებას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
კახა კახიშვილი

2-1875/23
13-02-2023

საფინანსო- საბიუჯეტო კომიტეტს

ასლი: საორგანიზაციო დეპარტამენტს

დასკვნა

„რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (“KFW”), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმებაზე (ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V))“

(07-2/242; 29.12.2022)

წარმოდგენილი სასესხო შეთანხმება ეფუძნება საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის 2021 წლის 4 ნოემბერს გაფორმებულ ოქმს განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული ოქმის საფუძველზე გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი საქართველოსთვის გამოყოფს 53 მლნ. ევროს ოდენობის სესხს 15 წლის ვადით (მათ შორის 5 წელი შეღავათიანი). საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია და დამოკიდებულია EURIBOR-ზე. აღნიშნული თანხა მოხმარდება ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტს, რომლის ფარგლებშიც მოხდება ბათუმის ტერიტორიაზე თანამედროვე წყლის სისტემების მოწყობა, სანიაღვრე სისტემების გამტარუნარიანობის გაუმჯობესება და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვა. პროექტის ფარგლებში მოხდება ასევე 2 მლნ. ევროს ოდენობის გრანტის გამოყოფაც.

პროექტს ახორციელებს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია და პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღია 2029 წლის 30 ივნისი.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა აღნიშნული სასესხო შეთანხმება და მხარს უჭერს მის რატიფიცირებას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ნიკოლოზ სამხარაძე